ხაშურის მოამბე

№22 (493) 16 ივნისი, ორშაბათი, 2025 წელი

სურამში სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული პროექტი მიმდინარეობს

ხაშურის მუნიციპალიტეტის დაბა სურამში მიმდინარე ინფრასტრუქუტულ პროექტებს შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებული სიმონ გულედანი,

რწმუნებულის პირველი მოადგილე მიხეილ ფავლენიშვილი, პარლამენტის წევრი ზაალ დუგლაძე და ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი თენგიზ ჩიტიაშვილი გაეცნენ.

ამჟამად, დაბა სურამში, 11 ქუჩას სრული რეაბილიტაცია უტარდება, პროექტის ფარგლებში დაიგება ასფალტი იგება და მოეწყობა სანიაღრე სისტემები. სამუშაოები რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით ხორციელდება, რაზეც 3 მილიონ ლარამდე დაიხარჯება.

გარდა საგზაო ინფრასტრუქუტურისა, მიმდინარეობს სურამის ცენტრალური სტადიონისა და ყოფილი კინოთეატრის შენობის მშენებლობა-რეაბილიტაცია.

ცენტრალური სტადიონის პროექტი ითვალისწინებს დაზიანებული ტრიბუნების დემონტაჟს, დამცავი კედლის მშენებლობას, სადრენაჟე სისტემის მოწყობასა და გასახდელების რეაბილიტაციის სამუშაოებს. სტადიონი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად მოეწყობა და აღიჭურვება. პროექტი ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება და მისი საერთო ღირებულება 1 041 230 ლარს შეადგენს.

სურამის ცენტრალურ სკვერში, ყოფილი კინოთეატრის შენობაში მულტიფუნქციური ცენტრის განთავსება იგეგმება. კინოთეატრი დიდი ხნის განმავლობაში არ ფუნქციონირებდა, ამჟამად კი შენობა უკვე მუნიციპალიტეტს საკუთრებაშია და მისი სრული რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია მიმდინარეობს. განახლებული შენობა სამუსიკო სკოლასა და სურამის ბიბლიოთეკას გააერთიანებს. აქვე განთავსდება სურამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის ოფისიც. სურამის მულტიფუნქციური ცენტრის რეაბილიტაციის სამუშაოები მთლიანად ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება, რაც 2 მილიონალმდე ლარს შეადგენს.

საკურორტო დაბა სურამის განახლებული ინფრასტრუქტურით სარგებლობას, ადგილობრივ მცხოვრებელებთან ერთად, დამსვენებლებიც შეძლებენ.

რეგიოული ფორუმი მდგრადი განვითარების მიზნების შესახებ

გასულ კვირას, თბილისში მდგრადი განვითარების ყოველწლიური რეგიონული ფორუმი გაიმართა, რომელიც მოიცავდა სხვადასხვა თემატურ პანელურ დისკუსიებს, მათ შორის, საქართველოში მდგრადი განვითარების მიზნების ლოკალიზაციის შესახებ.

ერთ-ერთი პანელური დიკუსია დაეთმო ხაშურის და ფოთის მუნიციპალიტეტების წარმატებული გამოცდილების გაზიარებას მდგრადი მუნიციპალური სერვისების დაგეგმვის მიმართულებით.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ნინო ლიპარტელიანმა და ფოთის მუნიციპალიტეტის მერმა ბექა ვაჭარაძემ იასუბრეს იმ ინიციატივებსა და სერვისებზე, რომელიც მუნიციპალიტეტებს საშუალებას აძლევს უკეთ დაგეგმონ მოსახლეობის საჭიროებებზე მორგებული ადგილობრივი პილიტიკა და ბიუჯეტი.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება № 42

2025 წლის 05 ივნისი , ხაშური

სსიპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ბროლოსნის საჯარო სკოლისათვის, სსიპ მალხაზ ხარაზიშვილის სახელობის მინიჭებაზე თანხმობის გაცემის შესახებ

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, მ/წლის 19 მაისს წერილობით მომართა სსიპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ბროლოსნის საჯარო სკოლის დირექტორმა, რომელმაც წარმოადგინა სსიპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ბროლოსნის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს 2025 წლის 15 მაისის N5 სხდომის ოქმი, რომლითაც სამეურვეო საბჭო თანხმობას აცხადებს სკოლას მიენიჭოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპული მალხაზ ხარაზიშვილის სახელი.

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის „საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ‘‘ N194 ბრძანების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „დ‘‘ ქვეპუნქტისა და მე-41 მუხლის „ბ‘ ქვეპუნქტის შესაბამისად, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

გაიცეს თანხმობა სსიპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ბროლოსნის საჯარო სკოლისათვის, მალხაზ ხარაზიშვილის სახელობის ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ბროლოსანის საჯარო სკოლის სახელის მინიჭებაზე.

განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;

განკარგულება გამოქვეყნდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებგვერდზე www.khashuri.org.ge ;

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, სარჩელის წარდგენის გზით, ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ხაშური, მერაბ კოსტავას ქ. № 15)

ლევან გამრეკელი,
საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი

დანართი №1

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 41
2025 წლის 05 ივნისი, ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს.კ 69.08.59.781) პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2025 წლის 6 თებერვლის №5 განკარგულებით დაამტკიცა ხაშურის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა, მათ შორის: „ქალაქი ხაშური, ტაბიძის ქუჩა (საკადასტრო კოდი 69.08.59.781) დანიშნულება არასასოფლო-სამეურნეო, მიწის ნაკვეთი 1572.00 მ2“. ნუსხის დამტკიცების შემდგომ უნდა მოხდეს პრივატიზაციის გეგმის დამტკიცება, რათა მუნიციპალიტეტის მერიამ შეძლოს აღნიშნული უძრავი ქონების პრივატიზება. ობიექტის პრივატიზებისას გათვალისწინებული იქნება ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესები. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ.ი“ ქვეპუნქტის და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების შესაბამისად, მერია საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტის ნუსხასა და პრივატიზაციის გეგმას. აქედან გამომდინარე, საჭიროა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებულ იქნას „ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ განკარგულება.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ე.დ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

დამტკიცდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული „ქალაქი ხაშური, ტაბიძის ქუჩა (საკადასტრო კოდი 69.08.59.781) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1572.00მ2 მიწის ნაკვეთის პრივატიზაციის გეგმა დანართი №1-ის შესაბამისად (დანართი №1 თან ერთვის ერთ ფურცლად).

პრივატიზაციის გეგმით გათვალისწინებული ობიექტის საწყისი საპრივატიზებო საფასური განისაზღვროს სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ 2025 წლის 25 მარტის №001367525 დასკვნის გათვალისწინებით.

განკარგულება აღსასრულებლად გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიას.

განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

განკარგულება გამოქვეყნდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე www.khashuri.org.ge

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, სარჩელის წარდგენის გზით, ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ხაშური, მერაბ კოსტავას ქ. № 15)

საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი **ლევან გამრეკელი**

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს.კ 69.08.59.781) პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ

დასახელება: ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.

მდებარეობა: ქალაქი ხაშური, ქუჩა ტაბიძე (ს.კ 69.08.59.781).

საწყისი საპრივატიზებო საფასური: 575 000 (ხუთასსამოცდათხუთმეტი ათასი) ლარი.

აუქციონის ფორმა: პირობიანი

პირობები:

მყიდველმა უნდა განახორციელოს ინვესტიცია არანაკლებ 4 000 000 ლარის ოდენობით.

ინვესტიციის ფარგლებში უნდა მოეწყოს თანამედროვე სტანდარტების სპორტული ცენტრი

ორი საცურაო აუზი (დიდებისთვის და საბავშვო), თანამედროვე ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს დარბაზი (არანაკლებ 100 ადამიანზე), ჩოგბურთის კორტი.

მყიდველს შეუძლია განათავსოს სპორტული მაღაზია, ბოულინგ ცენტრი და ფრეშ-კაფე.

ინვესტიციის ოდენობა დადასტურებული უნდა იქნას დამოუკიდებელი აკრედიტირებული ექსპერტის/აუდიტორის მიერ.

მყიდველი ვალდებულია საკუთრების უფლების მოწმობის გაცემიდან, არა უმეტეს 8 (რვა) თვისა, წარმოადგინოს სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან შეთანხმებული სრული სამშენებლო-საპროექტო დოკუმენტაცია,

ხოლო საკუთრების უფლების მოწმობის გაცემიდან, არა უმეტეს 30 (ოცდაათი) თვისა, დაასრულოს მშენებლობა და ობიექტი სრულად აღიჭურვოს სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის.

მყიდველი ვალდებულია არ განახორციელოს მიწის ნაკვეთის გასხვისება ნაკისრი ვალდებულებების შესრულებამდე.

მყიდველი ვალდებულია ობიექტის ფუნქციონირების დაწყებიდან შეინარჩუნოს სპორტულ-გამაჯანსაღებელი პროფილი არანაკლებ 15 წლისა.

მყიდველი ვალდებულია ობიექტის მშენებლობის დაწყებამდე, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს დასასვენებელი პარკის მხრიდან ველობილიკის რეკონსტრუქცია, ხოლო მშენებლობის დასრულებამდე საპარგინგე სივრცის მოწყობა მერიის მიერ მითითებულ ტერიტორიაზე.

აუქციონის შემდგომ საფასურის გადახდის პერიოდი: ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღე.

შენიშვნა: საჭიროების შემთხვევაში, მყიდველი ვალდებულია შესყიდულ მიწის ნაკვეთზე (როგორც მიწის ქვეშ, ასევე მიწის ზედა) ხაზოვანი კომუნიკაციის არსებობის შემთხვევაში, საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს მათი გადატანა.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო
დადგენილება № 29

2025 წლის 05 ივნისი , ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.თ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების „ქალისა და მამაკაცის თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის 11 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

ხაშურის მუნიციპალიტეტში ქალთა და ბავშვთა საკითხებზე სისტემური მუშაობისა და საქართველოს მთავრობის მიერ შექმნილ ქალისა და მამაკაცის თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიასთან კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად შეიქმნას ხაშურის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭო.

მუხლი 2

დამტკიცდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს დებულება დანართის შესაბამისად.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ლევან გამრეკელი,
საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი

დანართი

ხაშურის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ,,ქალისა და მამაკაცის თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონისა და ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად, ხაშურის მუნიციპალიტეტში ქალთა და ბავშვთა საკითხებზე სისტემური და საქართველოს მთავრობის მიერ შექმნილ ქალისა და მამაკაცის თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიასთან კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ქმნის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალურ საბჭოს (შემდგომში – საბჭო).

2. საბჭო თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი,“ „ქალისა და მამაკაცის თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №22 დადგენილებით დამტკიცებული ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის, ამ დებულებისა და სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

3. საბჭოს საქმიანობის წესი, ფუნქციები და უფლებამოსილება განისაზღვრება ამ დებულებით.

მუხლი 2. ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭო

ხაშურის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭო (შემდგომში – საბჭო) არის საკრებულოს სათათბირო-საკონსულტაციო ორგანო, რომელიც „ქალისა და მამაკაცის თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის და საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად, განიხილავს ხაშურის მუნიციპალიტეტში ქალთა და ბავშვთა საკითხებს და მათი უფლებების დაცვის მდგომარეობას. შეიმუშავებს წინადადებებს ადგილზე მათი უფლებების დარღვევის გამოვლენის და აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად.

მუხლი 3. საბჭოს ფუნქციები და უფლებამოსილებები

1.საბჭოს ძირითადი ფუნქციები და უფლებამოსილებებია:

ა) საქართველოს მთავრობის მიერ შექმნილ ქალისა და მამაკაცის თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიასთან კოორდინირებული მუშაობის წარმართვა;

ბ) განახორციელოს ხაშურის მუნიციპალიტეტის ორგანოებისა და თანამდებობის პირთა მიერ მიღებული სამართლებრივი აქტების ანალიზი და შეიმუშაოს წინადადებები ქალთა და ბავშვთა უფლებების დარღვევის აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად;

გ) ქალთა და ბავშვთა საკითხებთან დაკავშირებით და მათი უფლებების დაცვის მიზნით განიხილოს მუნიციპალური პროგრამებისა და ბიუჯეტის პროექტები; მოამზადოს შესაბამისი დასკვნები და რეკომენდაციები;

დ) განახორციელოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ შესრულებული ან მიმდინარე მუშაობის მონიტორინგი და შეფასება ქალთა და ბავშვთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით;

ე) უზრუნველყოს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ინიცირებული ნორმატიული აქტის პროექტების ექსპერტიზა ქალთა და ბავშვთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით;

ვ) შეიმუშაოს და დაგეგმოს ცალკეული ღონისძიებები ქალთა და ბავშვთა უფლებების დასაცავად და ამ უფლებების რეალიზაციის უზრუნველსაყოფად;

ზ) ითანამშრომლოს საქართველოს პარლამენტის მიერ შექმნილ ქალისა და მამაკაცის თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიასთან, მიაწოდოს მათ შესაბამისი ინფორმაცია და წინადადებები; მონაწილეობა მიიღოს ქალთა და ბავშვთა საკითხებთან დაკავშირებულ და უფლებების დაცვის მიზნით განხორციელებულ ღონისძიებებში;

თ) გამოითხოვოს და მიიღოს ქალთა და ბავშვთა საკითხებთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია და დოკუმენტაცია, გარდა ისეთი დოკუმენტებისა, რომელთა კონფიდენციალურობაც დაცულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

ი) განიხილოს ქალთა და ბავშვთა უფლებების დარღვევის თაობაზე წარდგენილი განცხადებები, დოკუმენტაცია და სხვა ინფორმაცია, თავისი კომპეტენციის ფარგლებში მოახდინოს მათზე რეაგირება და შეიმუშაოს შესაბამისი რეკომენდაციები;

კ) ქალთა და ბავშვთა საკითხების შესწავლის და განხილვის დროს მოიწვიოს შესაბამის დარგში მომუშავე საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციის წარმომადგენლები ან/და ექსპერტები; საჭიროების შემთხვევევაში, საბჭოს კომპეტენციაში შემავალი საკითხების შესწავლისა და სათანადო რეკომენდაციების შემუშავების მიზნით შექმნას სამუშაო ჯგუფები ექსპერტებისა და სპეციალისტების მონაწილეობით;

ლ) საბჭოს საქმიანობის მიზნებიდან გამომდინარე, საკითხის სრულყოფილად შესაწავლისა და გამოკვლევის მიზნით, მოაწყოს სამუშაო შეხვედრები შესაბამის დაინტერესებულ პირებთან და უწყებებთან;

მ) ითანამშრომლოს ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე ჯგუფებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სხვა მუნიციპალიტეტების საკრებულოში არსებულ ქალთა და ბავშვთა უფლებების დაცვის მუნიციპალურ საბჭოებთან;

ნ) განახორციელოს მისთვის საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული სხვა უფლებამოსილებები.

2. საბჭო:

ა) წელიწადში ერთხელ საკრებულოს წარუდგენს ანგარიშს მუნიციპალიტეტში ქალთა და ბავშვთა უფლებების დაცვის მდგომარეობისა და საბჭოს მიერ განხორციელებული ღონისძიებების შესახებ;

ბ) უფლებამოსილია, საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანების საფუძველზე, ქალთა და ბავშვთა უფლებების დაცვის სკითხებთან დაკავშირებით წარმოადგინოს მუნიციპალიტეტი სახელმწიფო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობაში.

3. საბჭოს ყოველწლიური ანგარიში ქვეყნდება საკრებულოს რეგლამენტით დადენილი წესით, საკრებულოს ოფიციალურ ვებგვერდზე.

მუხლი 4. საბჭოს სტრუქტურა და შემადგენლობა

1. საბჭოს წევრთა რაოდენობა არ უნდა იყოს 7-ზე ნაკლები და 21-ზე მეტი. საბჭოს პერსონალურ შემადგენლობას განსაზღვრავს და ბრძანებით ამტკიცებს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

2. საბჭოს თავმჯდომარეობს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ან მისი დავალებით საბჭოს ერთ-ერთი წევრი.

3. საბჭო შედგება: საბჭოს თავმჯდომარის, საბჭოს მდივნის, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების, საკრებულოს აპარატის წარმომადგენლების, მუნიციპალიტეტის მერიაში ქალთა უფლებების დაცვის საკითხებზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურის და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სხვა წევრებისაგან. ასევე, საბჭოს წევრად შესაძლებელია განისაზღვროს ადგილობრივი კერძო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები საბჭოს თავმჯდომარისადმი მათი წერილობითი განცხადებით მიმართვის საფუძველზე.

4. საბჭოზე გასატან საკითხებს ამზადებს და დღის წესრიგის პროექტს ადგენს საბჭოს მდივანი, რომელიც არის მერიაში ქალთა უფლებების დაცვის საკითხებზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე.

5. საბჭოს სხდომაზე ცალკეული საკითხის განხილვისას, საბჭოს თავმჯდომარის მიერ შეიძლება მოწვეულ იქნეს მერიის თანამდებობის პირები, დაწესებულებების და ორგანიზაციების წარმომადგენლები, ექსპერტები და სპეციალისტები.

6. საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძველია:

ა) სხდომის ზედიზედ 3-ჯერ არასაპატიო მიზეზით გაცდენა;

ბ) მის მიმართ კანონიერ ძალაში შესული საბოლოო ინსტანციის სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი ან გავიდა კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში გასაჩივრების ვადა;

გ) სასამართლომ აღიარა უგზო-უკვლოდ დაკარგულად, გამოაცხადა გარდაცვლილად ან ცნო მხარდაჭერის მიმღებად;

დ) გარდაიცვალა;

ე) გაუვიდა უფლებამოსილების ვადა;

ვ) უფლებამოსილება მოიხსნა პირადი განცხადების საფუძველზე;

ზ) შეწყვიტა საჯარო სამსახურის სისტემაში საქმიანობა და შესაბამისად განთავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან.

მუხლი 5. საბჭოს სხდომა

1. საბჭოს სხდომას ხელმძღვანელობს და სხდომის დღის წესრიგს ამტკიცებს საბჭოს თავმჯდომარე.

2. საბჭოს მორიგ სხდომას სამ თვეში ერთხელ მაინც იწვევს საბჭოს თავმჯდომარე. საბჭოს რიგგარეშე სხდომა მოიწვევა საბჭოს თავმჯდომარის ინიციატივით ან საბჭოს წევრთა 1/3 მოთხოვნით.

3. საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტი.

4. საბჭოს სხდომის მოწვევის დროსა და სხდომის დღის წესრიგს ამტკიცებს საბჭოს თავმჯდომარე.

5. საბჭოს თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში მის უფლებამოსილებას ახორციელებს საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით – საბჭოს ერთ-ერთი წევრი.

6. საბჭოს სხდომა ღია და საჯაროა. საბჭოს სხდომის დღის წესრიგი, სხდომის ჩატარების დრო და ადგილი უნდა გამოქვეყნდეს საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით, სხდომის ჩატარებამდე 7 დღით ადრე მაინც.

7. საბჭოს სხდომაში მონაწილეობის უფლება აქვს მუნიციპალიტეტში მოქმედ ყველა დაინტერესებულ არასამთავრობო ორგანიზაციას. ამ მიზნით, არასამთავრობო ორგანიზაციამ სხდომის დაწყებიდან არანაკლებ 2 დღით ადრე მაინც უნდა მიმართოს საკრებულოს თავმჯდომარეს და გამოყოს ერთი წარმომადგენელი საბჭოს სხდომაზე მონაწილეობის მისაღებად.

8. საბჭო ამზადებს წინადადებებს და რეკომენდაციებს საკრებულოსა და საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოებისა და თანამდებობის პირებისათვის წარსადგენად და იღებს გადაწყვეტილებებს საბჭოს მუშაობის ორგანიზაციულ საკითხებზე.

9. საბჭოს სხდომაზე განსახილველ საკითხებზე წინადადებებისა და რეკომენდაციების წარდგენის უფლება აქვს სხდომაში მონაწილე ყველა პირს. ყველა წარდგენილი წინადადება და რეკომენდაცია შეიტანება საბჭოს სხდომის ოქმში. განსახილველ საკითხზე წინადადებები და რეკომენდაციები შეიძლება შემოტანილ იქნეს წერილობითი ფორმით. ასეთი სახით შემოსულ წინადადებებს და რეკომენდაციებს, საბჭოს სხდომის თავმჯდომარე აცნობს სხდომის მონაწილეებს და იგი დაერთვება სხდომის ოქმს.

10. საბჭო გადაწყვეტილებას იღებს ღია კენჭისყრით, დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით.

11. საბჭოს თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია საბჭოს თავმჯდომარის ხმა.

12. დაუშვებელია საბჭოს წევრის მიერ ხმის მიცემისაგან თავის შეკავება.

13. საბჭოს წევრის მიერ გამოხატული უარყოფითი პოზიცია უნდა იყოს დასაბუთებული, რაც უნდა დაერთოს სხდომის ოქმს.

14. საბჭოს სხდომის მიმდინარეობა, განხილული საკითხები და მიღებული გადაწყვეტილებები ფორმდება სხდომის ოქმით, რომელსაც ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე და მდივანი.

15. საბჭოს სხდომის ოქმი ქვეყნდება საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით, საკრებულოს ოფიციალურ ვებგვერდზე.

16. საბჭოს სხდომის ოქმში შეტანილი წინადადებები და რეკომენდაციები ეგზავნებათ ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამის ორგანოებსა და თანამდებობის პირებს, რომლებიც ვალდებულნი არიან 1 თვის ვადაში განიხილონ მიღებული წინადადებები და რეკომენდაციები და მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ აცნობონ საბჭოს.

მუხლი 6. საბჭოს მუშაობის ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფა

საბჭოს მუშაობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი და საბჭოს მდივანი.

ტოპონიმებში გაცოცხლებული ისტორიები

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ 2023წ.#42, #43 2024წ.#2,#3, #4,5,6,7,8,9,10,11,12,15,15,17,18. #36,37,38,39,40,41,42,46,47. „ხმ“ 2025წ, #1,2,3,4,5,6,7,8,9,10,11,12,13,14,15,16,17,18,19,20,21).

ლაიმიწები - ადგილი
მშიერი მამული - ადგილი
ნალასტევი - ადგ., სათესი, იგივეა, რაც კონიახევი.
ნაფუძრების მიწა - ადგ; სახნავი დასავლეთით. ,,აქ ძალზედ ნოყიერი და მოსავლიანი მიწაა. აქ თურმე დიდი სოფელი ყოფილა, რომელიც გადაუსახლებიათ სამხრეთ საქართველოში“.
საქარეთი - ადგ; სახნავი, მინდორი, საძოვარი სამხრეთ-დასავლეთით. ,,აქ იცის ძლიერი ქარები, მოსავალიც მცირე რაოდენობით იცის“.
ქარიმიწები - ადგ., სათესი.
ციცქნეთი - ადგილი.

სოფელი ვაკეპანტები

ბაყაშვილებისფარდი - ადგ., სათესი.
დედაღვთისა - ადგ; სალოცავი.
ვაკეპანტებისფარდი - ადგ., საძოვარი.
ზაქაროს წყარო - ადგ; წყარო.
თხილნარის ღელე - ადგ., ღელე.
ნიკოსტყე - ადგ., ტყე.
ხაჩიძეების ფარდი - ადგ., სათესი.

სოფელი ნადარბაზევი

ახლაუბნის ფარდი - ადგ., სათესი.
ბაიდაურის მიწები - ადგ., სათესი.
დედაღვთისა - ადგ; სალოცავი, ნაეკლესიარი დასავლეთით. ,,ამ ადგილს ჩამოუდის კონიახევის პატარა რუ. უწინ თურქების შემოსევის დროს, ამ ადგილას მტრის ალყაში მოქცეულა ჩვენი ჯარი. განსაცდილში ჩავარდნილ მათ მეთაურს წარმოუთქვამს: ,,დედაო ღვთისა, შენ დაგვიფარე განსაცდელისგან და მოგვეცი ძალა გამარჯვებისაო“. ამ სიტყვების მერე ჯარს გაუმარჯვია მტერზე, რის გამოც ის ადგილი მიიჩინეს ღვთისად და იქ ააშენეს ეკლესია“.
კონიახევი - ადგ., ხევი, ღელე.
კრინიკას ხევი - ადგ., ხევი.
წყაროს ფარდი - ადგ., სათესი.
ჭაობის გორა - ადგ., კორდი.

სოფელი ყელეთი

ბიას გორა - ადგ., გორაკი დიდ ყელეთში. ,,ბია ჯაღიაშვილის გვარისა იყო“.
ბოსლეთი - ადგ., წყარო, ნასოფლარი დიდ ყელეთთან.
ბოსლეთის ხევი - ადგ., ხევი.
ბოსლეთის ეკლესია - ადგ; სალოცავი დიდ ყელეთთან.
გადასახედი - ადგილი დიდ ყელეთში.
გიოს ტბა - ადგ; ტბა დიდ ყელეთში.
გუჯანახო - ადგ., საძოვარი დიდ ყელეთში.
იმერლების უბანი - ადგ; უბანი.
კაბულაანთახო - ადგ., სათესი დიდ ყელეთში.
კუდატყე - ადგ., ტყე დიდ ყელეთში და პატარა ყელეთში.
ლომიძეების უბანი- უბანი.
მამუკაანთ ღელე - ადგ., ღელე.
მუხების ფარდი - ადგ., სათესი.
ნეგრების მიწა - ადგილი.
ნიკოლოზაანთი - ადგ., ღელე დიდ ყელეთში.
ოქროსოფლისტბა - ადგ., ტბა დიდ ყელეთში.
საბერველა - ადგილი დიდ ყელეთში.
სიკასფარდი - ადგ., სათესი დიდ ყელეთში.
სოლოს ტბა - ადგ., ტბა დიდ ყელეთში, სამხრეთით. ,,ტყის ძირშია. სოფელში ცხოვრობდა ვინმე სოლო შუბითიძე. მას ეკუთვნოდა აქ სახნავი მიწა ტბასთან“.
სულის ტბა - ადგ., ტბა დიდ ყელეთში.
ტბის მინდორი - ადგ., მინდორი აღმოსავლეთის მხარეს.
ტბისფარდი - ადგილი პატარა ყელეთში კუდატყის გვერდით.
ფოთლაანთხევი - ადგ., ხევი დიდ ყელეთში.
ქოთოლაანთ უბანი - ადგ; უბანი. იგივე ზემო უბანი. ,,აქ დასახლებულა ვინმე ციცა ქოთოლაშვილი. შემდეგ სხვა გვარებიც დასახლებულან. ამჟამად აქ ქოთოლაშვილები აღარავინაა, უბანიც აღარა არის“
ქოთელაანთხევი - ადგ., ხევი დიდ ყელეთში.
ქუჯაანთახო - ადგ., საძოვარი, ახო დიდ ყელეთში.
ღვთისმშობლის კოშკი - ადგილი, ნაკოშკარი დიდ ყელეთში
ყელეთის წყალი - ხევი.
ყელეთის ტბა - ადგ., ტბა დიდ ყელეთში.
შენახული ტყე - ადგ., საძოვარი. ,,ადრე გაიჩეხა”.
ჩაშვავებულიები - ადგ., ფლატე დიდ ყელეთში.
ჩეჩქის ღელე - ადგ., ღელე დიდ და პატარა ყელეთში.
ციცას გორა//ციცაანთგორა - ადგ., გორაკი დიდ ყელეთში. ,,ციცა ჯიოშვილის გვარის იყო“.
ძამისა - მდინარე დიდ ყელეთში.
წვერსაყდარი - ადგ., სალოცავი დიდ ყელეთში.
წვერსაყდრის მინდორი - ადგ., საძოვარი სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეს. ,,მოვხნავდით ხოლმე, მაგრამ არ ივარგა. დავანებეთ თავი მერე”.
წვრილმანა - ადგ., გაჩეხილი ტყე დიდ და პატარა ყელეთში.
წიქარიშვილების უბანი - ადგ; უბანი.
წყარო უბანი - ადგ; უბანი სოფლის ცენტრში.
ჯეირანაშვილების უბანი - ადგ; უბანი.
ჯიოშვილების უბანი - ადგ; უბანი.

სოფელი წრომი

აბანოს ღელე - ადგ., ღელე.
ალექსიძეების სამოსახლო - ადგილი.
ბაიდაურის წყალი - ადგ; წყარო.
ბებიაანთი//ბებიაანთ უბანი - უბანი, ადგილი, სათესი. ,,აქ მურჯიკნელები ცხოვრობენ. მათი წინაპარი ბებია ქალი ყოფილა, რომელიც სოფელში დიდი ავტორითეტით სარგებლობდა“.
ბოსლეთი - ადგ; ნასოფლარი, სახნავი თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე, სოფელ წრომის აღმოსავლეთით. ,,ეს ადგილი წარმოადგენს გაშლილ ვაკეს, სადაც ძველად ბოსლები ჰქონიათ“..
ნასოფლარის ტერიტორიაზე ჩანს ნასახლართა ბუდეები.
ბოსლისხევი//ბოსლეთის ხევი - ადგ., ხევი.
გასიაანთ უბანი - ადგ; უბანი, აქ გასიშვილები ცხოვრობენ.
გელაშვილების ფარდი - ადგ., სათესი.
გვერდის ძირი - ადგ., სათესი.
დასკალის ტბა - ადგილი, გუბე, ტბა. დასკალია ანთროპონიმია.
დოფიძეები - ადგ; უბანი, იგივე ახალშენი.
დოფიძიანთი - ადგ., სათესი.
ეკლესია - ადგ., ტაძარი, სალოცავი. იგივეა, რაც სალოცავი.
თელისფერდი - ადგ., სათესი
თიბილაანთი - ადგილი.
კირილეს ჭაობი - ადგილი
კვახიჭამია - ადგ; სახნავი. ,,აქ ითესებოდა სხვადასხვა ჯიშის კვახი. ამ უბნის მცხოვრებლებს შეარქვეს კვახიჭამიები. აქ ხეხილის ბაღია გაშენებული ახლა“.
კონიახევის ფარდი - ადგ., სათესი.
კუდატყე - ადგ., ტყე.
ლევან ციციშვილის ფარდი//ლევანის ფარდი - ადგ., სახნავი, სათესი აღმოსავლეთით. ,,ლევან ციციშვილს ეკუთვნოდა ეს ადგილი“.
ლუგელა - ადგ; წყარო, ხევი. უნდა იყოს გუბელა.
მარინე//მარინეს ფარდი - ადგ; სალოცავი, ნაეკლესიარი, სახნავი აღმოსავლეთით ადგილ ბოსლეთში.
მუხისმიწები - ადგ., სათესი.
ნაკალოვარი - ადგ., სათესი.
ნასალტევი - ადგილი. ,,უწინ აქ ლასტების მოსაწნავი ნერგები ხარობდა. იყენებდნენ ურმის გვერდებზე ასაფარებლად. ახლა ხეხილის ბაღია გაშენებული“.
ნაფუძარი//ნაფუძრები - ადგ., სათესი.
პანტის მიწა - ადგილი ჩრდილოეთით. ,,აქ პანტის ტყე ყოფილა. ახლა მცირე რაოდენობითაა პანტის ხე“.
პატიკაანთ უბანი - ადგ; უბანი. ,,აქ ვინმე პატიკას უცხოვრია. ეს ბერიძეების წინაპარი ყოფილა. ამ უბანში ახლაც ბერაძეები ცხოვრობენ“
პეტრეაანთ უბანი//პეტრიაანთი - ადგ; უბანი. ,,აქ მურჯიკნელები ცხოვრობენ. მათი წინაპარი ყოფილა ვინმე პეტრე. წრომში მცხოვრები მურჯიკნელები სოფელ ბარალეთიდან არიან“.
რიყის მიწები - დგ., სათესი.
სათესიფშატის გზა - ადგ., გზა.
სალოცავი - ადგ; ეკლესია სოფლის ცენტრში, ცნობილი წრომის ტაძარი.
სამნიფარდი - ადგ., სათესი, სამანი.
საყელეთო - ადგ., ტყე. .
საწრომო - ადგ., ტყე.
სახტრიფარდი - ადგილი.
სირონი - ადგილი.
სომალიანთ უბანი - ადგ; უბანი. აქ მურჯიკნელები ცხოვრობენ. უბანს სახელი დარქმევია მათი წინაპრის - სომალი-სოლოს მიხედვით“.
სოსო პაპას ნაწისქვილარი - ადგ; ნაწისქვილარი აღმოსავლეთით. ,,აქ ყოფილა წყლის წისქვილი, სადაც დიდი ხნის განმავლობაში მუშაობდა სოსო მურჯიკნელი“.
ტანტალა ტბა - ადგ; ნატბეური. ,,ეს ადგილი უწინ ტბას ეკავა, რომელიც თითქოს ირწეოდა, რის გამოც მას ხალხმა ტანტალა უწოდა“.
ტატიშვილისფარდი - ადგ., სახნავი, სათესი.
ფშატის მიწა - ადგ; სახნავი სამხრეთ-დასავლეთით. ,,აქ გაშენებული იყო ფშატის ტყე, რომელიც აზნაურ ტატიშვილების საკუთრებას წარმოადგენდა“.
ფხაჭიაანთ უბანი - ადგ; უბანი აღმოსავლეთით. ,,აქ ცხოვრობენ სულეიმანაშვილები. მათი წინაპარი - სულეიმან ოღლი გამოპარული ყოფილა ახალციხიდან. მას ფხაჭიას ეძახდნენ“.
ქარის მიწა - ადგ; სახნავი სამხრეთ-აღმოსავლეთით. ,,ხშირად აქ ძლიერი ქარი იცის“.
ქლიავების ფარდი - ადგ., ბაღი.
შალიკაგორა – ადგ; გორაკი.
ჩამოგლეჯილი - ადგილი დასავლეთით. ,,აქ მიწა მოშვავებულია, თითქოს მთიდან არის მოგლეჯილი მიწა“.
ციცაანთგორა - ადგ., გორაკი
წრომულა - მდინარე
ჭაობები - ადგ., სათესი, ბაღი.
ხავლეთურა - მდინარე, წყარო.
ხაროები - ადგილი სამხრეთ-აღმოსავლეთით. ,,ტყის პირასაა. ამ ადგილას ყოფილა ქვიტკირის ორმოები, რომელსაც ხორბლის შესანახად იყენებდნენ“.

თამაზ ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

- პროფესიული განათლება -

მორის დანდურიშვილი :- პროფესიულ ზრდა-განვითარებას ასაკი არ აქვს...

მორის დანდურიშვილი, ხაშურის #1 საჯარო სკოლის წარმატებული დირექტორი და საქართველოს „საუკეთესო დირექტორის“ ტიტულის მფობელი, კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ განათლება არ სრულდება კონკრეტული ასაკით, ეტაპით ან სტატუსით. მან ახალი პროფესიული გზა კოლეჯ „ქართლში“ აირჩია და დღეს უკვე ხელით_ელექტრო_რკალური_შედუღების პროფესიული მომზადების პროგრამის სერტიფიცირებული, წარმატებული კურსდამთავრებულია.

მისი გადაწყვეტილება ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელმა, მუდმივი განვითარება და პრაქტიკული ცოდნის გაღრმავება ცხოვრების მიმართულებად აქციოს. კოლეჯი „ქართლი“ მისთვის გახდა განვითარების შემდეგი ეტაპი - სივრცე, სადაც ხელობაც და შრომაც სწავლის ნაწილად იქცა.

- ბატონო მორის, რამ გადაგაწყვეტინათ ახალგასნილი სახელმწიფო პროფესიული კოლეჯი „ქართლის“ „ხელით ელექტრო-რკალური შედუღების“ პროფესიულ პროგრამაზე სწავლის_დაწყება და რა მიზნებს ისახავდით ამ არჩევანით?

- ჩემი გადაწყვეტილება განაპირობა მრავალმა ფაქტორმა, მათ შორის, გამოვყოფ რამდენიმეს: ახალი (ძალიან მოთხოვნადი) პროფესიის დაუფლების სურვილმა, სტერეოტიპის -„პროფესიული განათლება კონკრეტული სეგმენტისთვისაა“- დამსხვრევაში პირადი წვლილის შეტანის სურვილმა და კოლეჯი „ქართლის“ უკვე არსებულმა ავტორიტეტმა.

- როგორ შეაფასებდით ამ პროგრამის_ხარისხს, სასწავლო პროცესს, თეორიულ-პრაქტიკულ ნაწილს, რამდენად პასუხობს მიღებული ცოდნა თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებს?

- ჩემი გამოცდილებით, შემიძლია თამამად ვთქვა, რომ პროგრამა, კოლეჯის ინფრასტრუქტურა და სასწავლო პროცესი სრულად პასუხობდა მსმენელის და შრომის ბაზრის მოთხოვნებს: ჩვენი მასწავლებლების - გია გიგაშვილის და გია ხერხეულიძის მაღალი პროფესიონალიზმით შესაძლებლობა გვქონდა საფუძვლიანად შეგვესწავლა ხელით ელექტრო-რკალური შედუღების თეორიული საკითხები და სამუშაოზე დაფუძნებული პრაქტიკული სწავლების მეშვეობით შეგვეძინა ის აუცილებელი, დარგისათვის საჭირო პროფესიული უნარ-ჩვევები, რომლებიც განაპირობებს შრომის ბაზარზე პროგრამის კურსდამთავრებულთა კონკურენტულ უპირატესობებს.

- რა უნარები_და_ცოდნა მიგაჩნიათ, ყველაზე ღირებულად ამ პროგრამაში? სამომავლოდ, სად გამოიყენებთ ამ სპეციალობას?

- ისეთი ადამიანისთვის, როგორიც მე ვარ, ანუ, ადამიანისთვის, რომელიც შედუღების აპარატს პირველად შეეხო კოლეჯში, ყველა ნიუანსი ღირებულად და გამოსადეგად მიმაჩნია, მაგრამ მაინც გამოვყოფდი უსაფრთხოების ნაწილს, რადგან ამ მიმართულებით მეტი ყურადღება მართებს შემდუღებელს. ვაპირებ, ახლადშეძენილი ცოდნა კიდევ უფრო დავხვეწო და საწყის ეტაპზე, გამოვიყენო პირადი სამუშაოების საწარმოებლად.

- თქვენი ჯგუფი განსაკუთრებულად მეგობრული_ურთიერთობით გამოირჩეოდა. სასიამოვნოა, რომ ეს ურთიერთობა სწავლის დასრულების შემდეგაც გრძელდება. თქვენი აზრით, რამ განაპირობა ეს ერთობა?

- ჩვენი ჯგუფის წევრებს შორის მეგობრული ურთიერთობის ჩამოყალიბება მნიშვნლოვნად განაპირობეს ჩვენმა მასწავლებლებმა: მათ მიერ მოცემული რჩევები და დავალებები, რომ ერთმანეთზე გვეზრუნა პრაქტიკული სწავლების პროცესში, ხელს უწყობდა ჩვენს დაახლოებას. ცხადია, ჩვენც აღმოგვაჩნდა მზაობა - ჩემი დაკვირვებით, ვინაიდან ყველა ზრდასრულები ვიყავით, ე.წ. “მონატრებული სტუდენტობა” ახალი და მეგობრული ურთიერთობის საფუძვლად გვექცა.

- რას ურჩევდით ახალგაზრდებს, რომლებიც დღეს პროფესიული_განათლების_არჩევის გზაგასაყარზე დგანან, განსაკუთრებით იმათ, ვისაც ტექნიკური და - პრაქტიკული მიმართულებები, როგორიცაა შედუღება, აინტერესებთ?

- ცხოვრების მანძილზე უწყვეტი_განათლების ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს უწყვეტი პროფორიენტაცია და კარიერის დაგეგმვა წარმოადგენს. სამსახური ჩვენი ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილია. თუ 30 წლის მანილზე ვიმუშავებთ სრული დატვირთვით, სამსახურში 60 000-ზე მეტ საათს გავატარებთ. ამიტომ, მნიშვნელოვანია, რომ არჩეული პროფესია იყოს საინტერესო ჩვენთვის და გვაძლევდეს მოტივაციას და საკუთარი უნარების სრულად გამოყენების შესაძლებლობას. წარმოვიდგინოთ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია, როდესაც სიხარულით მიდიხარ სამსახურში და შრომა სიამოვნებას განიჭებს... ამის უზრუნველყოფად ის პროფესია უნდა აირჩიო ადამიანმა, რომელიც წარმატების_მიღწევის ყველაზე მეტ შანსს მოგცემს, რომელიც გაინტერესებს.

აქვე აღვნიშნავ, რომ პროფესიული_განათლების_მიღება, კოლეჯის პროგრამებზე სწავლა მხოლოდ ახალგაზრდებისთვის არაა - ყველას_შეუძლია ნებისმიერ დროს გააკეთოს არჩევანი ახალი პროფესიის შესწავლაზე ან არსებულში კვალიფიკაციის ამაღლებაზე, ასაკობრივი ზედა ზღვარი, ფაქტობრივად, არაა. ამის ცხადი მაგალითია ჩვენი ჯგუფიც, სადაც ყველა ასაკის მსმენელი იყო - 18 წლიდან 70 წლამდე და ყველამ კიდევ ერთხელ დავამტკიცეთ, რომ პროფესიულ ზრდა-განვითარებას ასაკი არ აქვს...

თ. ჯავახიშვილი

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება № 27

ხაშურის მუნიციპალიტეტის დაბა სურამში, ბუღაურას დასახლებაში მდებარე უსახელო ქუჩისა და მისი განშტოებებისათვის ,,ბერი გაბრიელ სალოსი“-ს სახელის მინიჭების შესახებ

ხაშურისმუნიციპალიტეტისსაკრებულოში,ხაშურისმუნიციპალიტეტის დაბა სურამში , ბუღაურას დასახლებაში მცხოვრები მოქალაქეების ერთობლივი განცხადების საფუძველზე, დარეგისტრირებულია ინიციატივა, დაბა სურამში, ბუღაურას დასახლებაში მდებარე უსახელო ქუჩისა და მისი განშტოებებისათვის, ,,ბერი გაბრიელ სალოსი“-ს ქუჩის სახელის მინიჭების თაობაზე.

,, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 01 ივნისის 239 დადგენილების შესაბამისად, მოსახლეობასთან კონსულტაციის მიზნით, საკითხთან დაკავშირებული დოკუმენტები, დადგენილი ვადით გამოქვეყნებული იყო საჯაროდ მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე და რაიმე სახის შენიშვნები და მოსაზრებები არ შემოსულა. ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სახელწოდების არმქონე გეოგრაფიული ობიექტის სახელდება. ზემოხსენებული გეოგრაფიული ობიექტის სახელდების საკითხი შეთანხმებულია გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, რეგისტრაციის აღრიცხვისა და დაცვის მიზნით, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედ სამთავრობო კომისიასთან.

საქართველოსორგანულიკანონის ,,ადგილობრივითვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

ხაშურის მუნიციპალიტეტის დაბა სურამში, ბუღაურას დასახლებაში მდებარე უსახელო ქუჩას (იწყება X – 379581, Y-4654329; კოორდინატზე და მთავრდება X – 380308,Y – 4654436, ქუჩის სიგრძე შეადგენს 750 მეტრს, 1-ლი ჩიხის 180 მეტრს, მე-2 ჩიხის 130 მეტრს, ხოლო მე-3 ჩიხის სიგრძე 90 მეტრია, ოთხივე მხრიდან ესაზღვრება მოსახლეობა. I |ჩიხს სამხრეთიდან ესაზღვრება ყოფილი დიმიტროვის ბავშვთა სახლის ტერიტორია,) ეწოდოს ,,ბერი გაბრიელ სალოსი“ -ს ქუჩა, ხოლო ჩიხებს:

I ჩიხს (იწყება III-X 379689; Y 4654349 კოორდინატზე და მთავრდება IV-X 379767; Y 4654223; V- X 379793; Y 4654240;) ეწოდოს ,,ბერი გაბრიელ სალოსი“-ს I ჩიხი.

II ჩიხს (იწყება VI-X 379734; Y 4654355 კოორდინატზე და მთავრდება VII-X 379734; Y 4654355;) ეწოდოს ,,ბერი გაბრიელ სალოსი“-ს II ჩიხი.

III ჩიხს (იწყება VIII-X379774; Y4654364; კოორდინატზე და მთავრდება IX-X 379816; Y4654280;) ეწოდოს ,,ბერი გაბრიელ სალოსი“-ს III ჩიხი .

განკარგულებააღსასრულებლადგაეგზავნოსხაშურისმუნიციპალიტეტის მერიას;

განკარგულება ეცნობოს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ცენტრალურ საარჩევნო კომისიას და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს.

განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

განკარგულება გამოქვეყნდეს „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ და ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებგვერდზე www.khashuri.org.ge -ზე.

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ხაშური, კოსტავას ქ. №15).

ნინო ლიპარტელიანი,
საკრებულოს თავმჯდომარე

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდმა ხაშურში №2 საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაასრულა

ხაშურის, დავით კაკიაშვილის სახელობის №2 საჯარო სკოლა 440 მოსწავლეზეა გათვლილი.

საჯარო სკოლა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად განახლდა

და სრულად ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის.

პროექტის მიხედვით, მოეწყო საკლასო ოთახები, საპირფარეშოები, სპორტული მოედნები და ეზოს ტერიტორია, დამონტაჟდა გათბობის, წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სისტემები. რეაბილიტაციის შედეგად, განხორციელდა ენერგოეფექტურობის უზრუნველყოფისთვის აუცილებელი სამუშაოები - სახურავისა და კედლების დათბუნება, რაც ზამთრის პერიოდში ელექტროენერგიის დაზოგვას და სითბოს შენარჩუნებას უზრუნველყოფს.

დავით კაკიაშვილის სახელობის საჯარო სკოლა 1927 წელს, ხოლო მისი ერთი ფლიგელი 1970 წელს აშენდა. მას შემდეგ, სკოლას რეაბილიტაცია არ ჩატარებია. შენობა იყო ავარიულ მდგომარეობაში და საჭიროებდა გადაუდებელ რეაბილიტაციას.

საჯარო სკოლის რეაბილიტაცია-მშენებლობის სამუშაოები მსოფლიო ბანკისგან მიღებული სესხისა და სახელმწიფო ბიუჯეტის თანადაფინანსებით ჩატარდა.

გრიგოლ მაჭარაშვილის ხსოვნას

ჩვნს მუნიციპალიტეტს, საბედნიეროდ, მუდამ ჰყავდა ისეთი ადამიანები, რომელთა ცხოვრება მაგალითი ხდებოდა შემდეგი თაობებისათვის და ამას ისინი თავისი ცხოვრების წესით, ბრწყინვალე განათლებით, პატრიოტიზმის უმაღლესი გამოვლინებით და, რაც მთავარია, საოცარი უბრალოებით აღწევდნენ. ისინი, ყმაწვილკაცობიდან დაწყებული ღრმა სიბერემდე მისაბაძნი იყვნენ და დღესაც არიან. ერთ-ერთი მათგანი იყო სწორედ გრიგოლ (გრიშა) მაჭარაშვილი. ორმოცი დღე გავიდა მისი გარდაცვალებიდან, დღეს უკვე მისი სული ზეციურ საქართველოს შეერია და ღრმად გვწამს, იქიდანაც სამშობლოზე ფიქრი არ ასვენებს. ასე იყო მთელი ცხოვრება და ეს მის ლამაზ პოეზიაშიც ნათლად აისახა. ათეული წლები ემსახურა ჩვენს რაიონს, „რიგითი“ მუშაკიც იყო და მაღალი თანამდებობებიც ჰქონდა და ყველგან თავისი ღრმა კვალი დატოვა. მათ შორის, ჩვენი გაზეთის რედაქციაშიც, სადაც მის საგაზეთო პუბლიკაციებს ყოველთვის ინტერესით ეცნობოდა მკითხველი. პეშვი-პეშვ აგროვებდა სიკეთეს, რომელსაც შემდგომ უშურველად გასცემდა და ამიტომაცაა, რომ მის გაკვალულ ბილიკზე მრავალი ხე - კეთილი ხარობს. ბრწყინვალე ოჯახიც შექმნა. მისი შვილები დღეს ღირსეულად აგრძელებენ მამის გზას და წარმატებული კარიერაც აქვთ.

„საქმემან შენმან წარმოგაჩინოსო“-ო ბრძენს უთქვამს და სწორედ საქმემ და ქვეყნის სიყვარულმა წარმოაჩინა ეს უთბილესი კაცი. ნათელში იყოს მისი ლამაზი სული. მეოხად ვუდგებით უფალს, რომ მუდამ ჩაუქრობელი კელაპტარი უნათებდეს მარადიულ გზას.

რედაქციელები

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.